მცენარეები, ცხოველები და ფრინველები

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	234
ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	101
წინადადებებში სიტყვების საშუალო რაოდენობა	3
გვერდების რაოდენობა	11
კითხვის დონე:	X
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ტექსტში წარმოდგენილია ინფორმაცია ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეების შესახებ და მათი განსახლების შესახებ სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონაში.

გაკვეთილის მიზანი:

გაგება / გააზრება:

- ტექსტის მთავარი იდეისა და დეტალების ამოცნობა;
- ბუნების ბალანსის შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება;
- ცხოველების , მცენარეების და ფრინველების დაკავშირება კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონასთან;
- ტექსტის პროგნოზირება;
- ფრაზის „ისეთები როგორიცაა“ გააზრება კონკრეტულ ტესტში და შესაბამისი კონსტრუქციების აგება;
- `ბუნების ბალანსის“ გააზრება და შესაბამისი მაგალითების შექმნა.

რესურსები:

1. წიგნი - „მცენარეები, ცხოველები და ფრინველები“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეთბუკის გამოყენებით ჩვენება.
2. დაფა, ცარცი.
3. სამუშაო ფურცლები ვიზუალიზაციისთვის, ცხოველების, მცენარეების და ფრინველების კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალის თანაცხოვრების შესახებ.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ ბავშვებს იმ ცხოველების, მცენარეების ან ფრინველების შესახებ, რომლებიც მათ გარშემო ხვდებიან ან იციან, რომ ერთად ცხოვრობენ;
2. აჩვენეთ მოსწავლეებს წიგნი, მისი სათაური „მცენარეები, ცხოველები და ფრინველები“ და ჰკითხეთ, მათი აზრით, რა შინაარსის და რის შესახებ შეიძლება იყოს წიგნი. ჩამოწერეთ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული ყველა ვარიანტი;
3. დაფაზე დაწერეთ ფრაზა: „ისეთი ცხოველები, როგორებიცაა“; „ისეთი ფრინველები, როგორებიცაა... ისეთი მცენარეები, როგორებიცაა“, აუხსენით მოსწავლეებს ამ ფრაზის მნიშვნელობა და შეეცადეთ, მოსწავლეებმა ამ ფრაზის გამოყენებით ჩამოაყალიბონ წინადადებები.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

1. სთხოვეთ ბავშვებს, წაიკითხონ ტექსტი. ტექსტის წასაკითხად შეგიძლიათ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოთ. მაგალითად, სთხოვოთ ბავშვებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი. სთხოვოთ ბავშვებს, რიგრიგობით, გაგრძელებebით წაიკითხონ ტექსტი, ისე, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული, ან სთხოვოთ, ერთმა ბავშვმა წაიკითხოს და სხვა ბავშვებმა გაიმეორონ ტექსტი. არჩეული სტრატეგია დამოკიდებულია მასწავლებელზე

და კონკრეტულ კონტექსტზე, მოსწავლეების რაოდენობა კლასში და მათ საჭიროებებზე.

2. ტექსტის წაკითხვის შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ ვიზუალიზაციის მეთოდი. აუხსენით ბავშვებს აგრეთვე, რომ ვიზუალიზაციის ერთ-ერთი ხერხი სურათების დახატვაა. დაყავით ბავშვები ოთხ ჯგუფად და სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის დახატვა - თავისი მცენარეებით, ცხოველებითა და ფრინველებით. სულ შექმენით 4 ჯგუფი: (ა) უდაბნოს ჯგუფი; (ბ) კლდის ჯგუფი; (გ) მთის ჯგუფი; (დ) დაბლობის ჯგუფი. ჯგუფებს სთხოვეთ, რომ ყველა მოსწავლე ჩაერთოს ნახატის შექმნაში, როგორც ჩამონათვალის, ასევე ნახატის შესრულებაში. შესაძლებელია, ჯგუფში ერთმა გადაანაწილოს, თუ რას ხატავს ჯგუფი, მეორემ დახატოს მცენარეები, მესამემ - ცხოველები, მეოთხემ - ფრინველები. სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნილ ნახატებზე გააკეთონ იმ მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების დასახელებები, რომლებიც დახატეს გეოგრაფიულ არეალთან ერთად. სთხოვეთ ბავშვებს, დახატული სურატები გააკრან საკლასო ოთახის კედლებზე...
3. მოსწავლეების მიერ ნახატების გაკვრის შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს, სურათები დაალაგონ ტექსტის თანმიმდევრობის მიხედვით, ანუ ჯერ - უდაბნო, მერე - კლდე, მერე - მთა და ბოლოს - დაბლობი; მოსწავლეებთან ერთად გააანალიზეთ ტექსტი თანმიმდევრობით და ამოიცანით პრინციპი; დაადგინეთ, რამდენად გაიაზრეს მოსწავლეებმა, რომ ტექსტის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია მთის მცენარეები, ცხოველები და ფრინველები, მეორეში - კლდისა, მესამეში - მთისა და ბოლოს - დაბლობის მცენარეები, ცხოველები და ფრინველები.

ლექსიკა

ახალ სიტყვებზე მუშაობა:

1. დაწერეთ დაფაზე ტექსტის ახალი სიტყვები: **უდაბნო, კლდე, მთა, დაბლობი.** ივარჯიშეთ მოსწავლეებთან ერთად ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგებაზე: დაუბრუნდით სურათების ჩვენებას. აჩვენეთ მათ კიდევ ერთხელ ის სურათები, სადაც გამოსახული იყო უდაბნო, კლდე, მთა და დაბლობი.
2. ავარჯიშეთ მოსწავლეები მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების სახელებზე. ლექსიკის სწავლებასთან ერთად, შეასრულეთ ტექსტის გააზრების დავალება. დაფაზე დახაზეთ შემდეგი ტიპის ცხრილი:

უდაბნო	**ცხოველები**	**მცენარეები**	**ფრინველები**
კლდე	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4
მთა	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4
დაბლობი	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოთვალონ თითოეული გრაფის შესაბამისი ცხოველები, მცენარეები და ფრინველები. მოსწავლეთა სწორი პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე. არასწორი პასუხები შეეცადეთ გააანალიზოთ და გაანალიზების შემდეგ ჩაწერეთ სწორ გრაფაში. მოსწავლეებს მიეცით საშუალება, თუ იციან სხვა ცხოველები, მცენარეები და ფრინველები სად ცხოვრობენ, მაგრამ ტექსტში არ არის მოცემული - ისინიც ჩამოწერონ.

კითხვის შემდგომი აქტივობები:

რეფლექსია კითხვის სტრატეგიასთან დაკავშირებით

1. აიღეთ ტექსტის ნებისმიერი გვერდი, სადაც ჩამოთვლილია ნებისმიერი გეოგრაფიული არეალი და შესაბამისი ცხოველები, ფრინველები ან მცენარეები, მაგალითად, ტექსტის მეოთხე გვერდი, სადაც უდაბნოში მცხოვრები ქვეწარმავლები და მცენარეებია ჩამოთვლილი. ჰკითხეთ მოსწავლეებს, მათი აზრით, რატომ ცხოვრობენ ეს მცენარეები სწორედ უდაბნოში, როგორ ახერხებენ იქ ცხოვრებას, რა განაპირობებს ამ გარემოში მათ ცხოვრებას და ა.შ.
2. ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ რატომ არის კონკრეტული გარემო მცენარეებისთვის, ცხოველებისა და ფრინველებისთვის საცხოვრებლად შესაფერისი. შეეცადეთ, მოსწავლეები ამსჯელოთ ბუნებრივი გარემოს და ბუნების ბალანსის შესახებ.

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს სახლში, მშობლებთან, და-ძმასთან ან მეგობართან ერთად მოიძიონ ინფორმაცია მათთვის სასურველ ნებისმიერ ცხოველზე, ფრინველზე ან მცენარეზე. დაწერონ მოკლე საინფორმაციო ტექსტი ამ მცენარის, ცხოველის ან ფრინველის შესახებ, მათი ცხოვრების წესის შესახებ, მათი ცხოვრების გეოგრაფიული არეალის შესახებ, მათი ბუნებრივი გარემოს და მათ გარშემო არსებული ბუნების ბალანსის შესახებ. სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ დავალების შესრულებისას აქტიურად გამოიყენონ ინტერნეტი, ვებ-გვერდი www. reading.ge, რომელზეც განთავსებულია სხვა-

დასხვა ინფორმაციული ტექსტი მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების შესახებ. ინტერნეტის ან კომპიუტერის არარსებობის შემთხვევაში, სთხოვეთ მოსწავლეს, რომ მშობელმა, ნათესავმა ან და-ძმამ მოუთხროს რომელიმე, მათთვის კარგად ნაცნობი, მცენარის, ცხოველის ან ფრინველის შესახებ და მონათხრობი დაწერონ დავალების სახით. ყველა მოსწავლე მომდევნო გაკვეთილზე გაუზიარებს საკუთარ ნამუშევარს სხვა მოსწავლეებს.